შესაგებელი
ადმინისტრაციულ საქმეზე

თბილისის საქალაქო
სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა კოლეგია
მხოლოდ სასამართლო მოხმარებისთვის

საქმე №3/1216-23

ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა"
მოსარჩელის სახელი, გვარი (სახელწოდება)

ნანა აფციაური
მოსამართლის სახელი და გვარი

მოპასუხე:

საქართველოს გარემოს
დაცვისა და სოფლის
მეურნეობის სამინისტრო
სახელი, გვარი (სახელწოდება)

ქ.თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. N6
პირადი (საიდენ.) ნომერი ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი)

ალტერნატიული მისამართი

სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ. სამსახურის ტელ. მობილური ფაქსი ელექტრონული ფოსტა

მოპასუხის წარმომადგენელი:

გიორგი ხანიშვილი
მინისტრის პირველი
მოადგილე
სახელი, გვარი, ადვოკატის სიითი ნომერი

ქ.თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ.N6
პირადი ნომერი ძირითადი მისამართი

ალტერნატიული მისამართი

სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ. სამსახურის ტელ. მობილური ფაქსი ელექტრონული ფოსტა

საკონტაქტო პირი:

ნატო მაჭარაშვილი
ნინო მუსელიანი
ციური სულხანიშვილი
სახელი, გვარი

577080819
599218404
595119724
სახლის ტელ. მობილური ელექტრონული ფოსტა

ვალდებული ხართ თქვენი შესაგებელი სარჩელსა და მასში დასმულ საკითხებზე, აგრეთვე, თქვენი მოსაზრებები სარჩელისათვის თანდართული საბუთების შესახებ სასამართლოს წარუდგინოთ სარჩელისა და თანდართული საბუთების ასლების მიღებიდან სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში, რომლის გაგრძელება დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არსებობს საპატიო მიზეზი.

ფორმასთან დაკავშირებით კითხვის, შენიშვნის ან რეკომენდაციის არსებობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ნომერზე (995 32) 227-31-00 ან მოგვწეროთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, მისამართზე: forms@hcoj.gov.ge
სანიმუშო ფორმა შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: www.hcoj.gov.ge

სასამართლოში დასაბარებელ პირთა სია

სახით:

დასაბარებელი პირის სტატუსი

სახელი, გვარი | პირადი ნომერი | ძირითადი მისამართი

ალტერნატიული მისამართი | სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ. | სამსახურის ტელ. | მობილური | ფაქსი | ელექტრონული ფოსტა

შენიშვნა-7

ცნობთ თუ არა სარჩელს?

დიახ ☐

არა ☒

ნაწილობრივ ☐

შენიშვნა-8

მოპასუხის პოზიცია მოსარჩელის მიერ მითითებულ დავის ფაქტობრივ გარემოებებზე

პირველ ფაქტობრივ გარემოებას - ვეთანხმები
სამინისტროში ელ. ფოსტის მეშვეობით 2023 წლის 23 იანვარს გადმოგზავნილი იქნა ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა"-ს აღმასრულებელი დირექტორის N23/09/03-114 წერილი.
მტკიცებულება:

მე-2 ფაქტობრივ გარემოებას - არ ვეთანხმები

მტკიცებულება:

მე-3 ფაქტობრივ გარემოებას - არ ვეთანხმები

მტკიცებულება:
ა.

მე-4 ფაქტობრივ გარემოებას - არ ვეთანხმები

მტკიცებულება:
ა. (დანართი)

მე-5 ფაქტობრივ გარემოებას - არ ვეთანხმები

მტკიცებულება:
ა. (დანართი)

დავის დამატებითი ფაქტობრივი გარემოებები

1. ფაქტობრივი გარემოება
ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას" სამინისტროს წერილით მიეწოდა მოთხოვნილი ინფორმაცია.
მტკიცებულება:
სამინისტროს 02.03.2023 წლის N1529/01 წერილი.
ლინკი: https://wetransfer.com/downloads/6cd6ea81c4f07e8439ffbe7a16ded4ea20230328114526/9c0734.

2. ფაქტობრივი გარემოება

მტკიცებულება:
ა. (დანართი)

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. ქ. თბილისი, ბოჭორმის ქ. 12, 0144
ვებ-გვერდი: www.hcoj.gov.ge; ელ. ფოსტა: council@hcoj.gov.ge

მიგაჩნიათ თუ არა, რომ საქმის წარმოება უნდა შეწყდეს?

დიახ ☒ რის საფუძველზე? მიგვაჩნია, რომ არ არსებობს დავის საგანი, ვინაიდან სარჩელის
არა ☐ ავტორს სამინისტროს 2023 წლის 2 მარტის N1529/01 წერილით გაეგზავნა სამინისტროში დაცული შესაბამისი საჯარო ინფორმაცია.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, „თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი".

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „ა"-ს ერთი პრიმა პუნქტის მიხედვით კი, „სასამართლო, მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით, შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ არ არსებობს დავის საგანი".

ასევე საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26(2)-ე მუხლის მე–2 ნაწილის თანახმად, „სასამართლო განჩინებით შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ იგი არ აკმაყოფილებს ამ კოდექსის 22-ე–25-ე მუხლებით დადგენილ დასაშვებობის მოთხოვნებს. პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას სასამართლო აღნიშნული საფუძვლით წყვეტს საქმის წარმოებას პროცესის ნებისმიერ სტადიაზე".

შესაბამისად, დავის საგნის არარსებობის გამო, საქმე არ აკმაყოფილებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22–ე–25–ე მუხლებით დადგენილ დასაშვებობის მოთხოვნებს, რის გამოც უნდა შეწყდეს საქმის წარმოება.

მიგაჩნიათ თუ არა, რომ სასამართლომ სარჩელი განუხილველად უნდა დატოვოს?

დიახ ☐ რის საფუძველზე?
არა ☒

მიგაჩნიათ თუ არა, რომ სასამართლომ უნდა შეაჩეროს საქმის წარმოება?

დიახ ☐ რომელი საფუძვლით?
არა ☒

ხომ არ აპირებთ, შეგებებული სარჩელის აღძვრას?

დიახ ☐ რომელი საფუძვლით?
არა ☒

მოპასუხის პოზიცია სასარჩელო მოთხოვნასა და მის სამართლებრივ საფუძვლებზე

პირველ სასარჩელო მოთხოვნას - არ ვეთანხმები

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. ქ. თბილისი, ბოჭორმის ქ. 12, 0144
ვებ-გვერდი: www.hcoj.gov.ge; ელ. ფოსტა: council@hcoj.gov.ge

სარჩელის ავტორი, ერთის მხრივ, ითხოვს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირის 2023 წლის 3 თებერვლის გადაწყვეტილების ბათილად ცნობას, რომლითაც არ დაკმაყოფილდა „მწვანე ალტერნატივას" 2023 წლის 23 იანვრის N23/09/03-114 განცხადების მოთხოვნა საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ და მეორეს მხრივ, ითხოვს დაევალოს სამინისტროს განცხადებით მოთხოვნილი ინფორმაციის გადაცემა. მიგვაჩნია, რომ აღნიშნული მოთხოვნები უსაფუძლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

შესაგებელი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებზე:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლის თანახმად, „სარჩელი შეიძლება აღიძრას ისეთი მოქმედების განხორციელების ან ისეთი მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნით, რომელიც არ გულისხმობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას". ამასთან, „სარჩელი დასაშვებია, თუ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ რაიმე მოქმედების განხორციელება ან უარი რაიმე მოქმედების განხორციელებაზე პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს."

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 33-ის პირველი პრიმა მუხლის მიხედვით კი, „თუ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ რაიმე მოქმედების განხორციელება ან უარი რაიმე მოქმედების განხორციელებაზე უკანონოა და ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს, სასამართლო ამ კოდექსის 24-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით გამოიტანს გადაწყვეტილებას, რომლითაც ადმინისტრაციულ ორგანოს ავალებს, განახორციელოს ეს მოქმედება ან თავი შეიკავოს ამ მოქმედების განხორციელებისაგან."

მიგვაჩნია, რომ სამინისტროს მხრიდან (ცენტრალური აპარატი) ქმედების განხორციელებაზე უარის თქმას ადგილი არ ჰქონია.

საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან დასტურდება, რომ 2023 წლის 23 იანვარს ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივამ" სამინისტროს მომართა წერილით, რომლითაც ითხოვდა 2021 წლის პირველი დეკემბრიდან ინფორმაციის გადმოცემის მომენტამდე, შპს „ჯორჯიან მანგანეზის" საქმიანობასთან დაკავშირებით შემდეგი საჯარო ინფორმაციის გადაცემას:

„1. სამინისტროში (მათ შორის სამინისტროს რომელიმე სტრუქტურულ ერთეულში) კომპანიის მიერ წარდგენილ ყველა დოკუმენტსა და წერილის ასლს;

2. სამინისტროს უწყებების მიერ შექმნილი და ან მიღებული დოკუმენტების ასლს;

3. სამინისტროს უწყებების მიერ კომპანიისა თუ სხვა უწყებებისათვის/პირებისათვის გაგზავნილი ყველა დოკუმენტისა და წერილის ასლს".

გაცნობებთ, რომ 02/03/2023 წლის N1529/01 წერილით ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას" გაეგზავნა სამინისტროს ცენტრალურ აპარატში არსებული ინფორმაცია, კერძოდ, შპს „ჯორჯიან მანგანეზის" მიერ სამინისტროში 2021-2022 წლების განმავლობაში წარმოდგენილი ყოველთვიური ანგარიშები კომპანიის მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ. რაც შეეხება „ჯორჯიან მანგანეზის" საქმიანობასთან დაკავშირებით სამინისტროს უწყებების მიერ შექნილი, მიღებული ან/და მათ მიერ სხვა უწყებებისთვის/პირებისთვის გაგზავნილი დოკუმენტაცია, აღნიშნული სამინისტროს ცენტრალურ აპარატში არ ინახება.

შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ სამინისტროს მიერ შესრულდა საჯარო ინფორმაციის გაცემის ვალდებულება და არანაირი უმოქმედობის ფაქტს ადგილი არ ჰქონია.

საჯარო ინფორმაცია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „მ" პუნქტის თანახმად, ეს არის „ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის, ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო და

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. ქ. თბილისი, ბოჭორმის ქ. 12, 0144
ვებ-გვერდი: www.hcoj.gov.ge; ელ. ფოსტა: council@hcoj.gov.ge

აუდიოჩანაწერები), ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია, ასევე საჯარო დაწესებულების მიერ პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაცია". ხოლო ამავე კოდექსის მე-10 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „ყველას აქვს უფლება, გაეცნოს ადმინისტრაციულ ორგანოში არსებულ საჯარო ინფორმაციას, აგრეთვე მიიღოს მისი ასლები, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას ან პერსონალურ მონაცემებს".

აღნიშნული ნორმების შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ ოფიციალური დოკუმენტი აუცილებლად საჯარო დაწესებულებაში უნდა იყოს დაცული, ხოლო იმ ინფორმაციის მიწოდება, რომელიც არ ინახება კონკრეტულ ადმინისტრაციულ ორგანოში, არ წარმოადგენს დაწესებულების ვალდებულებას. შესაბამისად, სამინისტროს მიერ „მწვანე ალტერნატივასთვის" გაგზავნილი იქნა სამინისტროს ცენტრალურ აპარატში არსებული საჯარო ინფორმაცია. აქედან გამომდინარე, სამინისტროს მხრიდან, საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში, რაიმე უმოქმედობის ფაქტს ადგილი არ ჰქონია და სახეზე არ გვაქვს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე და 33 პირველი პრიმა მუხლებით გათვალისწინებული სარჩელის დაკმაყოფილების პირობები და შესაბამისად, არ არსებობს დავის საგანიც (ყურადღებას გავამახვილებთ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომ „მწვანე ალტერნატივას" სარჩელი სასამართლოში შეტანილი იქნა 2023 წლის 23 თებერვალს, ხოლო საჯარო ინფორმაცია სამინისტროს მიერ გაცემული იქნა 2023 წლის 2 მარტის წერილით).

რაც შეეხება ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას" 2023 წლის 23 იანვრის წერილით მოთხოვნილი დანარჩენი ინფორმაციის გაცემას (კერძოდ: სამინისტროს უწყებების მიერ შექმნილი და ან მიღებული დოკუმენტების ასლები, სამინისტროს უწყებების მიერ კომპანიისა თუ სხვა უწყებებისათვის/პირებისათვის გაგზავნილი ყველა დოკუმენტისა და წერილის ასლები), სამინისტროს რომც დაევალოს აღნიშნული ინფორმაციის გაცემა, ინფორმაციის არარსებობის გამო, იგი მოკლებული იქნება შესაძლებლობას შეასრულოს მხარის მოთხოვნა. მსგავსი ინფორმაციის მისაღებად ნებისმიერმა დაინტერესებულმა პირმა და მათ შორის, მოსარჩელემ უნდა მიმართოს უშუალოდ სამინისტროს სისტემაში შემავალ დაწესებულებებს. განვმარტავთ, რომ აღნიშნული უწყებები „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, არიან საკანონმდებლო და სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისაგან განცალკევებული ორგანიზაციები, რომლებიც სახელმწიფოს კონტროლით დამოუკიდებლად ახორციელებენ პოლიტიკურ, სახელმწიფოებრივ, სოციალურ, საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა საჯარო საქმიანობას, დასახული მიზნებისა და დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად, საკუთარი სახელით იძენენ უფლებებსა და მოვალეობებს, დებენ გარიგებებს და შეუძლიათ სასამართლოში გამოვიდნენ მოსარჩელედ და მოპასუხედ. სახელმწიფო კონტროლის ფარგლები კი იგი განსაზღვრულია ამავე კანონის მე-12 მუხლით, რომლის მიხედვით, „საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს თანხმობით შეიძლება განახორციელოს შემდეგი ქმედებები:

ა) უძრავი ქონების შეძენა, გასხვისება და დატვირთვა;

ბ) სესხის აღება;

გ) თავდებობა;

დ) ბიუჯეტის (გარდა საგანმანათლებლო დაწესებულებისა), საშტატო ნუსხისა და სახელფასო ფონდის (გარდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისა) განსაზღვრა;

დ1) თანამშრომელთა მატერიალური წახალისებისათვის გამოსაყოფი სახსრების, აგრეთვე საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ შესაძენი საწვავისა და გასაწევი საკომუნიკაციო ხარჯების ლიმიტების განსაზღვრა (გარდა საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისა);

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. ქ. თბილისი, ბოჭორმის ქ. 12, 0144
ვებ-გვერდი: www.hcoj.gov.ge; ელ. ფოსტა: council@hcoj.gov.ge

დ2) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმწიფო დაფინანსების ფარგლებში შრომითი ხელშეკრულებით დასასაქმებელი პირების ფუნქციებისა და რაოდენობის განსაზღვრა;

ე) სხვა გადაწყვეტილებები საჯარო სამართლის იურიდიული პირის ქონებასთან დაკავშირებით , თუ ისინი სცილდება ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს .

შესაბამისად, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო არის სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანო, რომლის სახელმწიფო კონტროლის ფარგლებშიც არ შედის საჯარო ინფორმაციის გაცემის სამინისტროსთან შეთანხმების ვალდებულება და თითოეული უწყება დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებას კონკრეტული საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე. ამიტომ, ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივამ" უნდა მიმართოს სამინისტროს სისტემაში შემავალ ყველა უწყებას ინდივიდუალურად:

მე-2 სასარჩელო მოთხოვნას - არ ვეთანხმები

შესაგებელი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებზე:

მე-3 სასარჩელო მოთხოვნას - არ ვეთანხმები

შესაგებელი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებზე:

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. ქ. თბილისი, ბოჭორმის ქ. 12, 0144
ვებ-გვერდი: www.hcoj.gov.ge; ელ. ფოსტა: council@hcoj.gov.ge

მტკიცებითი შუამდგომლობები

მოწმე	ფაქტობრივი გარემოება(ები)
ექსპერტი	ფაქტობრივი გარემოება(ები)
სპეციალისტი	ფაქტობრივი გარემოება(ები)

შენიშვნა-24

შუამდგომლობები მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის მოთხოვნით.
1.

შენიშვნა-25

შუამდგომლობები, საპატიო მიზეზის გამო, მტკიცებულებათა წარმოდგენის გადავადების თაობაზე.
1.

შენიშვნა-26

შუამდგომლობები მტკიცებულებათა გამოთხოვის თაობაზე.
1.

შენიშვნა-27

სხვა სახის შუამდგომლობები

1. მოთხოვნა

არგუმენტაცია:

2. მოთხოვნა

არგუმენტაცია:

გაქვთ თუ არა აცილება მოსამართლის მიმართ?
დიახ ☐ რის საფუძველზე?
არა ☒

შენიშვნა-29

დაგჭირდებათ თუ არა თქვენ ან/და დასაბარებელ პირს თარჯიმანი საქმის ზეპირი მოსმენისას?
დიახ ☐ ვის? რომელი ენის მცოდნე?
არა ☒

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. ქ. თბილისი, ბოჭორმის ქ. 12, 0144
ვებ-გვერდი: www.hcoj.gov.ge; ელ. ფოსტა: council@hcoj.gov.ge

თქვენს ინტერესში შედის საქმის მორიგებით დამთავრება. მორიგება წარმოადგენს დავის გადაწყვეტის ყველაზე სწრაფ, ეფექტურ და იაფ საშუალებას. ამასთან, გეძლევათ შესაძლებლობა, თავად განსაზღვროთ დავის შედეგი, ასევე, აღმოფხვრათ კონფლიქტი ერთმანეთს შორის.
სასამართლო სხდომამდე მხარეთა მორიგების შემთხვევაში მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ხოლო სასამართლო სხდომაზე მორიგების შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება.
მოურიგებლობის ნეგატიური შედეგებია:
» რთულადგანჭვრეტადი შედეგი;
» ხანგრძლივი სასამართლო პროცესი;
» სასამართლო ხარჯები;
» სასამართლოსგარეშე ხარჯები;
» ყოველდღიური ხარჯები.

თანახმა ხართ თუ არა, რომ საქმე დაამთავროთ მორიგებით?

დიახ ☐ მორიგების პირობები:

არა ☒ რადგან

თანდართული საბუთების ნუსხა

დანართი 1: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 02/03/2023 წლის N1529/01 წერილი.
დანართი 2: „ნინო თანდილაშვილისათვის სასამართლო ორგანოებში წარმომადგენლობის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ" საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 18 ივნისის N2-557 ბრძანება.
ფურცლების საერთო რაოდენობა: 14.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. ქ. თბილისი, ბოჭორმის ქ. 12, 0144
ვებ-გვერდი: www.hcoj.gov.ge; ელ. ფოსტა: council@hcoj.gov.ge

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე?

დიახ ☐

არა ☒ რადგან

შენიშვნა-33

რა დრო დაგჭირდებათ მთავარ სხდომაზე თქვენი პოზიციის დასაბუთებისათვის?

20 წუთი რადგან

რამდენ სხდომაში მიგაჩნიათ გონივრულად დავის განხილვის დასრულება?

I სხდომაში რადგან

შენიშვნა-34

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს დაჩქარებული წესით?

დიახ ☐

არა ☒ რადგან

შენიშვნა-35

თქვენ მიერ მითითებულ რომელ მისამართზე ისურვებდით სასამართლო შეტყობინების მიღებას?

ძირითად მისამართზე

დროის ოპტიმალური. შუალედი: 10:00 - 14:00

თანახმა ხართ თუ არა, რომ წერილობითი მასალები მიიღოთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით?

დიახ ☐

არა ☒ რადგან

შენიშვნა-36

გთხოვთ, გაითვალისწინოთ!
სასამართლოში საქმის განხილვა მიმდინარეობს თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე – თქვენ გეკისრებათ როგორც ფაქტების მითითების, ასევე მათი დამტკიცების ტვირთი. საქმის საბოლოო შედეგი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ დაასაბუთებთ თქვენს პოზიციას და რომელი მტკიცებულებით დაადასტურებთ მათ ანუ წარმატებას განაპირობებს თქვენი პროფესიონალიზმი და თქვენს მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები.

ჩემი (ჩემი მარწმუნებლის) ცოდნის, ინფორმირებულობისა და რწმენის საუკეთესო გამოვლინებით, ამ ფორმაში ფაქტები მივუთითე სრული სახით და ისინი შეესაბამება სინამდვილეს. ვაცნობიერებ, თუ რა შედეგთან არის დაკავშირებული მონაცემების არასწორი ან/და არასრული მითითება.

29/03/2023 წ.

გიორგი ხანიშვილი

გარემოს დაცვისა და სოფლის
მეურნეობის მინისტრის პირველი
მოადგილე

ხელმოწერა | ხელმომწერის სახელი, გვარი | შევსების თარიღი

შევსებული ფორმა შეგიძლიათ ჩააბაროთ სასამართლოს კანცელარიის (მისაღების) მოხელეს ან გამოაგზავნოთ ფოსტის

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. ქ. თბილისი, ბოჭორმის ქ. 12, 0144
ვებ-გვერდი: www.hcoj.gov.ge; ელ. ფოსტა: council@hcoj.gov.ge

დანართი N1

საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 1529/01
02/03/2023

1529-01-2-202303021638

ა/ო „მწვანე ალტერნატივა"-ს აღმასრულებელ დირექტორს
ქალბატონ ნინო გუჯარაიძეს

(ელ.ფოსტა: ngujaraidze@greenalt.org)

ქალბატონო ნინო,

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში, მიმდინარე წლის 14 თებერვალს შემოსული #23/09/03-115 თქვენი ადმინისტრაციული საჩივრის პასუხად, სამინისტროს ცენტრალური აპარატის კომპეტენციის ფარგლებში გიგზავნით შპს „ჯორჯიან მანგანეზის" სპეციალური მმართველის მიერ, 2021-2022 წლების განმავლობაში განხორციელებული საქმიანობის შესახებ, სამინისტროში წარმოდგენილ ყოველთვიურ ანგარიშებს.

აქვე გაცნობებთ, რომ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებთ, დოკუმენტებში დაფარულია პერონალური მონაცემების შემცველი ინფორმაცია.

დანართი 1 ზიპ.ფაილი.

პატივისცემით,

ნანა ჩინჩილაკაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
სტრატეგიული კომუნიკაციის დეპარტამენტი

დანართი N2.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-557

18/06/2019

ქ. თბილისი

ნინო თანდილაშვილისათვის სასამართლო ორგანოებში წარმომადგენლობის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონის 23-ე მუხლის, „საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2018 წლის 6 მარტის N112 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დებულების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილეს ნინო თანდილაშვილს მიენიჭოს უფლებამოსილება:

ა) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 98-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლო ორგანოებში წარმომადგენლობის უფლებამოსილების განსახორციელებლად, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინტერესების წარდგენისა და დაცვის მიზნით, შეასრულოს ყველა საპროცესო მოქმედება ნებისმიერ სასამართლო ინსტანციაში, მათ შორის: ხელი მოაწეროს განცხადებებსა და მინდობილობებზე, აღძრას სარჩელი, ცნოს სარჩელი, მთლიანად ან ნაწილობრივ უარი თქვას სასარჩელო მოთხოვნაზე, შეცვალოს სარჩელის საგანი, მოურიგდეს მხარეს, გაასაჩივროს სასამართლო გადაწყვეტილება და წარადგინოს სააღსრულებო ფურცელი გადასახდევინებლად;

ბ) პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილებით აღჭურვოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო მოსამსახურეები.

2. ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილებები საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილის ნინო თანდილაშვილის არყოფნის შემთხვევაში, მიენიჭოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველ მოადგილეს გიორგი ხანიშვილს.

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ნინო თანდილაშვილისათვის სასამართლო ორგანოებში წარმომადგენლობის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ" საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 22 მარტის N2-175 ბრძანება.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი